წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

განკარგულება:**g-119. 119262303**

თარიღი:**18/08/2026**

2026 წლის 3 ოქტომბრის #25.09 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შუალედური არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 51-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ***გადაწყვიტა:***

1. 2026 წლის 3 ოქტომბრის #25.09 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შუალედური არჩევნების სააგიტაციო მასალების განთავსება/გაკვრა აკრძალულია დანართ #1-ში მითითებულ შენობა-ნაგებობებზე.

2. 2026 წლის 3 ოქტომბრის #25.09 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებული სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების მიზნით, განისაზღვროს ადგილები სააგიტაციო მასალების გასაკრავად და გამოსაფენად დანართი #2-ის შესაბამისად.

3. განკარგულების პირველი და მეორე პუნქტების გათვალისწინებით, სააგიტაციო მასალის გამოფენა დასაშვებია #25.09 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არსებულ ყველა ობიექტზე საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 51-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით.

4. განკარგულების დარღვევის შემთხვევაში პირს დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი